პედაგოგთა პროფკავშირის დახმარებით, გათავისუფლებული პედაგოგი სასამართლომ სამსახურში აღადგინა

22:36 27-12-2012

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დახმარებით, ქუთაისის #23-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უკანონოდ გათავისუფლებული პედაგოგი ქეთევან ფურცელაძე სასამართლომ სამსახურში აღადგინა, - ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" საქართველოს პროფკავშირებიდან აცნობეს.

პროფკავშირის ინფორმაციით, სკოლას დაეკისრა პედაგოგისათვის განაცდურის ანაზღაურება 6000-მდე ლარის ოდენობით.

"2011 წლის 18 ოქტომბერს ქეთევან ფურცელაძე გათავისუფლდა სამსახურიდან სკოლის მანდატურის აქტის საფუძველზე, იმ მოტივით, რომ მას დროებით ორი არა არ ჰქონდა შეტანილი საკლასო ჟურნალში. ასევე, ქეთევან ფურცელაძეს უკანონოდ ბრალად დასდეს მანდატურის სამსახურისათვის შეურაცხყოფის მიყენება და მათთვის სიტყვა ყარაულის დაძახება, რასაც ადგილი არ ჰქონია. ქ. ქუთაისის #23-ე საჯარო სკოლის დირექტორმა ნესტან სიხარულიძემ ერთპიროვნულად, სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური წარმოების წესების დარღვევით, ამავე სკოლის მანდატურ ირინა ბენიძის ზეპირი, ცრუ განმარტების საფუძველზე, გაათავისუფლა სამსახურიდან პედაგოგი ქეთევან ფურცელაძე. ამა წლის 19 და 26 დეკემბერს ქეთევან ფურცელაძის სასამართლო პროცესები გაიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. პედაგოგის ინტერესებს იცავდა და წარმოადგენდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი თამარ ავალიანი. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ქეთევან ფურცელაძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. იგი აღდგენილ იქნა სამსახურში, სკოლას კი დაეკისრა პედაგოგის სასარგებლოდ განაცდურის ანაზღაურება